ტესტირების დეტალური ინსტრუქცია:

- ტესტირების დასაწყებად მონაწილემ უნდა გამოიყენოს ბმული: https://olimp-test.naec.ge/

- მონაწილემ სასურველია ისარგებლოს **Google Chrome** ან **Microsoft Edge** ბრაუზერით და სამუშაოდ გახსნას მხოლოდ ერთი გვერდი.

- ბმულის გახსნის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება მონაცემების შესატანი ორი ველი: „პირადი ნომერი“ და „პაროლი“. მონაწილემ შესაბამის ველში უნდა შეიყვანოს მისი პირადი ნომერი და რეგისტრაციისას შექმნილი პაროლი და დააჭიროს ღილაკს **„შესვლა“.**

- ავტორიზაციის შემდეგ ტესტირების გვერდზე მონაწილე დაინახავს საკუთარ სახელსა და გვარს, ასევე იმ საგნის/საგნების ტესტების ჩამონათვალს, რომელშიც/რომლებშიც მონაწილეობს მიმდინარე დღეს.

- თუ ეკრანზე გამოჩნდება სხვა პირის სახელი და გვარი, მონაწილემ უნდა გადაამოწმოს მის მიერ შეყვანილი პირადი ნომრის სისწორე.

- ოლიმპიადის პირველი ტურის ტესტური დავალებების თითოეულ შეკითხვას თან ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთა წინ განთავსებულია მოსანიშნი წრეები. მონაწილემ კურსორი უნდა მიიტანოს მის მიერ არჩეული პასუხის შესაბამის წრესთან და მონიშნოს იგი. პასუხის მონიშვნის შემდეგ წრეში გამუქდება წერტილი, რაც პასუხის არჩევას ნიშნავს.

- თითოეული პასუხის არჩევის შემდეგ მონაწილე აჭერს ღილაკს „**შემდეგი**“, რის შედეგადაც პროგრამა მას მომდევნო დავალებას შესთავაზებს. პასუხის მონიშვნა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა მომდევნო დავალებაზე არ გადავა.

- კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი საათი აჩვენებს ტესტის შესრულებისთვის დარჩენილ დროს, შესაბამისად, მონაწილეს შესაძლებლობა აქვს ტესტირებისთვის გამოყოფილი დრო თავად აკონტროლოს.

- ყველა დავალების შესრულების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება ოლიმპიადის მონაწილის მიერ მიღებული ქულა. მონაწილე აჭერს ღილაკს „**დაასრულე ტესტი**“, რის შემდეგაც ტესტირება დასრულებულად ითვლება.

- სისტემიდან გამოსვლის შემთხვევაში პროცესი უნდა დაიწყოს თავიდან. პირადი ნომრისა და პაროლის შეყვანის შემდეგ პროგრამა ავტომატურად გააგრძელებს იმ დავალებიდან, რომლის დროსაც შეწყდა ტესტირება. ტესტირების შეწყვეტამდე შეკითხვებზე გაცემული პასუხები დამახსოვრებული იქნება.

- **მნიშვნელოვანია, რომ ტესტირებისას არ დახუროთ გვერდი, რადგან პროგრამაში შესვლა მხოლოდ სამჯერაა დასაშვები!**